დამატებითი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა ქ. თბილისში, ატენის ქ. №19-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით

ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „ატენი 19“-ის დავალების საფუძველზე, შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის” საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით დამატებით, ვიზუალურად შეისწავლა ქ. თბილისში, ატენის ქ. №19-ში, გათხრილი სამშენებლო ქვაბული (ქვაბულის სიღრმე 10–15 მ-ია).

ატენის ქ. №19-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე 2001 და 2010 წელს ჩვენი განყოფილების მიერ, ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომლის მასალები განყოფილების ფონდებშია დაცული.

დასაპროექტებელი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ატენის ქუჩაზე. საძირკვლის ტიპი ბურღვით-ნატენი ხიმინჯებია. დატვირთვა 1 მ-ზე – 70 ტ; სვეტზე – 500 ტ.

სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების თანახმად, გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების და ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესასწავლად, 2001 და 2010 წელს გაბურღულია ჭაბურღილები სიღრმით 15,0–21,0 მ. ხოლო ატენის ქუჩაზე მდებარე 3 სართულიანი სახლის, საძირკვლის ჩაღრმავებისა და მისი ზომების დასადგენად, გაითხარა 2,5 მ სიღრმის შურფი, რომელიც ჩაიბურღა 20,5 მ სიღრმემდე.

კვლევითი-საძიებო გამონამუშევრების სიღრმე, განპირობებული იყო, ძირითადი კლდოვანი გრუნტების წოლის (განლაგების) სიღრმით.

გეომორფოლოგიურად სამშენებლო ტერიტორია წარმოადგენს ე. წ. „ვაკის ტერასის“ ნაწილს, აბსოლუტური ნიშნულებით 446,0–453,0 მ-მდე.

მის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ: ზედა ეოცენის ასაკის ნალექები, წარმოდგენილი ქვიშაქვებისა და არგილიტების შრეების მორიგეობით.

სამშენებლო თვისებების მიხედვით გამოიყოფა 3 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი **სბე:**

I სბე – ტბიური გენეზისის გრუნტები – თიხები;

II სბე – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანები – ქვიშაქვების და არგილიტების შრეების მორიგეობა;

III სბე – სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანები.

საკვლევ უბანზე ქვაბულში, არ არის დაფიქსირებული გრუნტის წყალი, გარდა ქვაბულის სამხრეთ ფერდოს აღმოსავლეთ მხარისა, სადაც შეიმჩნევა წყლის ჟონვა, რომელიც გამოწვეულია წყლის ჟონვით დაზიანებული მიწისქვეშა კომუნიკაციებიდან.

საძირკვლის ფუძედ მიღებულია III სბე.

არქიტექტურული დავალების საფუძველზე, სახლის სართულიანობა გაიზარდა 22-მდე.

შენობის ტიპი – მონოლითური კარკასია, მსუბუქი ქაფბეტონის, ბლოკების შევსებით.

ქვაბულის შემოწმების დროს, მიწისქვეშა წყლები არ იქნა დაფიქსირებული.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების, ასევე სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ატენის ქ. №19-ში 22 სართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტით შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია ბურღვით-ნატენ ხიმინჯებზე, როგორც უკვე აღინიშნა ფუძე გრუნტად მიღებულია ქვიშაქვების და არგილიტების შრეების მორიგეობა.

მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე, საშიში გეოლოგიური მოვლენები არ აღინიშნება. უბანი მდგრადია და მშენებლობისთვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებშია.

სნ და წ 1.02.07-87 მე-10 დანართის თანახმად, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი I კატეგორიას (მარტივი) მიეკუთვნება.

თანახმად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტისა სნ და წ „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.09) თბილისის სეისმურობა 8 ბალია.


დ ა ს კ ვ ნ ა

საინჟინრო გეოლოგიური კვლევები შესრულდა მოქმედი სამშენებლო ნორმების, ასევე სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბურღვით ნატენი ხიმინჯებით ხელოვნური ფუძის შექმნა იქნება შენობის მდგრადობის გარანტი.

მთავარი სპეციალისტი გ. ჩიქოვანი

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის"
საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების უფროსი ს. სირაძე


ქ. თბილისი. ატენის ქუჩა
01. 14. 14. 011 / 083
1:200
სპორტული მოედანი
ჭაბ.№1
ატენის ქუჩა
300 კერ.
ჭაბ.№2
ჭ/ბ.№3
ჭაბ.№4
ჭაბ.№5
ნაყარი
ქვაბული
500 ბეტ.
ატენის შესახვევი
ფურცელ


ხ ქუჩა №19
11 / 083
9ძს
451.75
448.75
450.08
450.25 აივანი
№2
450.10
446.88
447.93
437.05
436.58
32
447.58
448.84
მშპ. ა/შ
448.60
448.42
300 მმ.
447.01
100 მმ.
446.80
446.70
446.37
№5
446.20
445.97
445.14
445.38
აივანი
8481220
4617600
4ძს
445.90
445.58
445.46
445.28
444.75
444.23
444.03
500 მმ.
445.72
445.88
150 მმ.
445.90
445.38
444.32
442.30
444.77
445.84
445.68
№1